სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 მარტი, 2025 წ

ბრძანება № 01-02/39

„ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N01-08/986 ბრძანებაში

ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის N182630 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2022 **წლის 8 ნოემბრის N01-08/986 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, ბრძანების **N1 დანართში** (წესი) **მე-3 მუხლის სათაური და შინაარსი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 3. შუალედური შეფასების ორგანიზება

1. შუალედური შეფასება ტარდება, როდესაც დასრულებული იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების შესაბამისი სწავლის შედეგების არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60%.

2. შუალედური შეფასება ტარდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.

3. ინფორმაცია შუალედური შეფასების ვადების და პირობების შესახებ პროფესიულ სტუდენტს მიეწოდება ინდივიდუალურად (პირისპირ ან/და ელ. ფოსტის მეშვეობით), შეფასების დაგეგმვამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე.

4. დუალური ფორმით პროგრამის განხორციელების შემთხვევაში შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობაა სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი.

5. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასება მოიცავს შეფასების ინსტრუმენტს, შეფასების პროცესსა და შეფასების მტკიცებულებას.

6. შუალედური შეფასების დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს გსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდეგში - ცენტრი) შესაბამის პრაქტიკის ობიექტთან/სასწავლო საწარმოსთან/კლინიკასთან ერთად (პროგრამის განხორციელების ფორმის გათვალისწინებით).

7. ცენტრის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი (შემდეგში - ადმინისტრირების ჯგუფი) და შუალედური შეფასების კომისია (შემდეგში – შეფასების კომისია).

8. შუალედური შეფასების **ადმინისტრირების ჯგუფის შემადგენლობაში** შედიან მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროგრამის ხელმძღვანელები.

9. შუალედური შეფასების **შეფასების კომისიის** შემადგენლობაში შედიან გსუ-ს პარტნიორი ორგანიზაციების და დარგობრივი ასოციაციების ან/და დარგის ექსპერტების ან/და განათლების ექსპერტების ან/და სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლები. დუალური პროგრამების შემთხვევაში სავალდებულოა პარტნიორი სასწავლო საწარმოს/საწარმოების მონაწილეობა. შუალედური შეფასების კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტს უნდა ქმნიდეს პარტნიორი ორგანიზაციების დარგობრივი ასოციაციების სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები ან/და დარგის განათლების ექსპერტები. შეფასების კომისიის შემადგენლობაში დასაშვებია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ჩართული პირების მონაწილეობა.

10. ადმინისტრირების ჯგუფი პასუხისმგებელია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაზე.

11. შეფასების კომისიის წევრი ვალდებულია, წინასწარ გაეცნოს სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შექმნილ შეფასების ინსტრუმენტს და შეფასების პროცედურას. შეფასების კომისია მონაწილეობს პროფესიული სტუდენტის შეფასებაში და აძლევს განმავითარებელ შეფასებას. კომისია შეფასებისას ეყრდნობა არსებული შეფასების ინსტრუმენტს და შეფასების კრიტერიუმებს, რომელსაც გავლილი აქვს ვალიდაცია. პროფესიულ სტუდენტთა ნამუშევრების შეფასებისას, საჭიროების შემთხვევაში, შეფასების კომისიის წევრები უფლებამოსილი არიან მოითხოვონ შეფასების ინსტრუმენტის შემმუშავებელ სამუშაო ჯგუფის წევრებთან კონსულტაცია.

12. შეფასების თაობაზე ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტს მიეწოდება ცენტრის მიერ შეფასების ჩატარების დღიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში. შედეგების გაცნობის დროს დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობა. დაუშვებელია კონკრეტული სტუდენტის შეფასება გასაჯაროვდეს ჯგუფში, სტუდენტის თანხმობის (სიტყვიერი ან წერილობითი) გარეშე (ასეთ შემთხვევაში ჯგუფში შედეგები უნდა იქნას განხილული განზოგადებულად, ხოლო კონკრეტული სტუდენტის შედეგები - ინდივიდუალურად).“.

2. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების ინფორმირება.
3. წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მომზადდეს კოდიფიცირებული ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი" და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდის შესაბამის ველებში.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე